საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გორგოძე შოთა ვარლამის ძე

 შ. გორგოძე

გორგოძე შოთა ვარლამის ძე (10. XI. 1932, სოფ. ზედა ილემი, ახლანდ. ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, - 1. III. 2020, თბილისი), შინაგანი სამსახურის გენერალ-ლეიტენანტი (1988).

დაამთავრა თბილ. რკინიგზის ტრანსპ. ინჟინრების ინ-ტი (1950). მუშაობდა ქ-ნა „ელექტროგამშვებში" საკონსტრუქტორო ბიუროს უფროსად, 1963–65 საქ. კპ თბილ. პირველი მაისის რაიკომის ინსტრუქტორად, 1965-იდან – შინაგან საქმეთა სამინისტროში განყ-ბის უფროსად, სამმართველოს უფროსის მოადგილედ, სამმართველოს უფროსად, 1977–86 შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილედ. 1986–90 იყო შს მინისტრი, 1987–90 – საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, 1985–90 – სპორტსაზოგადოება „დინამოს" თავ-რე. 1994–2000 – საქართვ. შსს აკადემიის რექტორი. 2001 სექტ-იდან თადარიგშია.

გ. არის პედ. მეცნ. და საერთაშ. ინფორმატიკის აკადემიების წევრი.

მიღებული აქვს ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენი (2003).

ლ. დოლიძე